გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №სსდ-10-24 **18 დეკემბერი 2024 წელი**
თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა
შემადგენლობა:
თავმჯდომარე - მირანდა ერემაძე (მომხსენებელი)
მოსამართლეები - თეა ძიმისტარაშვილი
გოჩა აბუსერიძე

სხდომის მდივანი - მაია ჯინორია

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენით

საჩივრის ავტორი - ადვოკატი ბ. ს–ი /სიითი №---/

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
წარმომადგენელი - მარიამ ბეჟიტაიშვილი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 7 ივნისის №006/23 გადაწყვეტილება

საჩივრის ავტორის მოთხოვნა - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 7 ივნისის №006/23 გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სრულად გამართლება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების შინაარსი:
1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2023 წლის 1 თებერვალს

საჩივრით მიმართა მ. ბ-მ და მოითხოვა ადვოკატ ბ. სი–––––––––––სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.1. მიმართვის ავტორის განმარტებით, 2022 წლის 28 ოქტომბერს მეუღლის მიერ ძალადობის შემდეგ ის, თავის შვილთან ერთად, პროკურატურამ ცნო დაზარალებულად. ამ ფაქტის შემდეგ მან გადაწყვიტა მეუღლესთან განქორწინება და სამართლებრივი დახმარებისათვის მიმართა ადვოკატ ბ. ს–ს. მ. ბ-ს განმარტებით, ადვოკატი დაჰპირდა, რომ დაეხმარებოდა და მიაწოდა ინფორმაცია, რომ სამართლებრივად არსებობდა განქორწინების ორი გზა: 1. სასამართლოს მეშვეობით და 2. მხარეთა თანხმობით, რასაც არ სჭირდებოდა სასამართლო და შესაბამისად, თუ მ. ბ-ს მეუღლის თანხმობას მოიპოვებდა, აღნიშნული უფრო მარტივ და სწრაფ გზას წარმოადგენდა. ადვოკატმა მომჩივნისაგან მოითხოვა საქმისათვის საჭირო დოკუმენტები და ანაზღაურების სახით ამავე შეხვედრისას გამოართვა 300 ლარი. საჩივრის ავტორის განმარტებით, შეხვედრის მეორე დღეს ადვოკატმა მას დაურეკა და უთხრა, რომ საქმეში აუცილებელი იყო სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატის ჩართვა, საქმე გართულდა და მას დამატებით 1000 ლარი უნდა გადაეხადა. მომჩივანმა 1000 ლარი 14 დეკემბერს გადასცა ადვოკატს, რასაც ესწრებოდა მისი შვილი - ნ. ბ. ამის შემდეგ, ადვოკატმა ბ. ს-ა მიაწოდა ინფორმაცია, რომ მისი მეუღლე თანახმა იყო განქორწინებაზე, გარკვეული პირობების სანაცვლოდ. საჩივრის ავტორის განმარტებით, მას და მის ადვოკატს რამდენჯერმე ჰქონდათ საუბარი იმ თემაზე, რომ ის როგორც ძალადობის მსხვერპლი, არანაირ გარიგებაზე არ უნდა წასულიყო მოძალადესთან და ისიც იცოდა, რომ წინასწარ პატიმრობაში მყოფი მისი მეუღლე ყველანაირად ცდილობდა სასჯელისაგან თავის დახსნას. ადვოკატი არწმუნებდა, რომ სასამართლოს გზით განქორწინება ხანგრძლივი პროცედურა იყო, აშინებდა, რომ მისი მეუღლე ქონების გაყოფას მოითხოვდა, რაც მატერიალურ ზარალს მიაყენებდა, ასევე, განუმარტავდა, რომ შეთანხმების გარეშე ის თავისი მეუღლისაგან ფიზიკურად თავს ვერ დაიცავდა, ხოლო მისი, როგორც ადვოკატის მიერ შეთანხმებული გეგმით, ის და მისი შვილი დაცულნი იქნებოდნენ.

1.2. მ. ბ-ს განმარტებით 2022 წლის 19 დეკემბერს ადვოკატი დაუკავშირდა მას და უთხრა, რომ ნოტარიუსთან სასწრაფოდ უნდა მოეწერა ხელი რაღაც დოკუმენტზე და მასთან მიაგზავნა ადვოკატი რ. ჭ–ი, რომელმაც საჩივრის ავტორი და მისი შვილი მიიყვანა ნოტარიუსთან, სადაც ადვოკატ რ. ჭ-ს კარნახით შედგა ტექსტი. ნოტარიუსმა განუმარტა მ. ბ-ს, რომ ტექსტი შინაარსობრივად ეწინააღმდეგებოდა მათი, როგორც დაზარალებულების ინტერესებს და ჰქონდა მოძალადის ბრალეულობის შემსუბუქების დანიშნულება. ამავე დროს, ადვოკატ რ. ჭ–ს დაურეკა საჩივრის ავტორის მეუღლის ძმამ, რომელიც კატეგორიულად და მაღალი ტონით მოითხოვდა მისგან ხელმოწერილი შეთანხმების მიტანას. მოგვიანებით გაირკვა, რომ იმ საათებში უნდა გამართულიყო მ-ე ბ-ს მეუღლის მორიგი სასამართლო სხდომა და ამ საბუთის წარდგენა ეჩქარებოდათ სასამართლოში. მ. ბ-ს განმარტებით, ის არ ფლობდა ინფორმაციას, რომ ადვოკატმა ბ. ს-ა ადვოკატი რ. ჭ–ი ჩართო მის საქმეში და რომ ადვოკატი რ. ჭ–ი სასჯელაღსრულების

დაწესებულებაში ხვდებოდა მის ყოფილ მეუღლეს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ნოტარიუსთან მისვლის მეორე დღეს მას დაურეკა ადვოკატმა ბ. ს-ა და უთხრა, რომ დღე-დღეზე მიიღებდა მისი მეუღლის თანხმობას და მას არაფერი ჰქონდა სანერვიულო, თანხმობის მიღება კი გვიანდებოდა ახალი წლის დღესასწაულების გამო. 5 იანვარს მას კვლავ დაურეკა ადვოკატმა და მიაწოდა ინფორმაცია, რომ ყველაფერი მზად იყო და მისი ხელმოწერა სჭირდებოდა. მ. ბ-მ ადვოკატს სთხოვა მისთვის დოკუმენტაცია გაეგზავნა ელექტრონული ფოსტით. მომდევნო დღეს, მ. ბ-ს ადვოკატმა გაუგზავნა ტექსტის მხოლოდ ნაწილი - შეთანხმების პირველი და მესამე გვერდი, ამის შემდეგ მან დაურეკა ადვოკატს და გამოთქვა ეჭვი, დოკუმენტს აკლდა გვერდი, რის შემდეგაც ადვოკატმა გაუგზავნა გამოტოვებული გვერდი და ეს დოკუმენტი დიდად არ განსხვავდებოდა იმ ტექსტისაგან, რომელზეც ადრე მან ხელი არ მოაწერა - ეს იყო არა თანხმობა განქორწინებაზე, არამედ გარიგება, რომელიც მის მეუღლეს უმსუბუქებდა სამართლებრივ მდგომარეობას. მან ადვოკატს კიდევ ერთხელ განუცხადა, რომ მსგავსი გარიგების დადება მის ინტერესში არ შედიოდა და მეუღლესთან არ ჰქონდა საზიარო ქონება.

1.4 მ. ბ-ს განმარტებით 22 იანვარს მან მისწერა ბ. ს–ს და სთხოვა, რომ რადგან ადვოკატმა ვერ შეძლო შეესრულებინა მისგან მიღებული დავალება - მეუღლესთან განქორწინება, დაებრუნებინა მის მიერ წინასწარ გადახდილი თანხა. ადვოკატმა უპასუხა, რომ მან შეასრულა ვალდებულება და თანხას არ დაუბრუნებდა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, შეთანხმება მისთვის არ იყო მისაღები, რადგან მას სურდა მხოლოდ განქორწინება, რომელსაც ისედაც მიიღებდა სასამართლოს გზით და არაფერი ჰქონდა მეუღლესთან მოსალაპარაკებელი. შეთანხმების ტექსტი ეწინააღმდეგებოდა მის ნებას - მას არ სურდა სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებების დათმობა. ბ. ს-ა საქმეში ჩართო სხვა ადვოკატი, რომლისთვისაც მას მინდობილობა არ მიუცია და მასთან არ ჰქონდა არავითარი კავშირი. მას ადვოკატისათვის მეუღლესთან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შესვლა არ უთხოვია, ადვოკატმა თავად უთხრა, მისი მეუღლისაგან თანხმობის მისაღებად რა გზები იქნებოდა საჭირო. ადვოკატმა ბ. ს-ა იცოდა, რომ მის მეუღლეს ჰყავდა ადვოკატი.

2. 2023 წლის 27 თებერვალს მესამე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ბ. ს-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

2.1 ეთიკის კომისიის მეხუთე დისციპლინური კოლეგიის 2023 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების საფუძველზე (მუხლი 36), საქმე განსახილველად გადაეცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.
2.2 განხილვის კოლეგიამ 2023 წლის 28 დეკემბერს, ონლაინ გამართულ სხდომაზე, მ. ბ-ს

შუამდგომლობის საფუძველზე გამოკითხა მოწმე ნ. ბ. ხოლო ადვოკატ ბ. ს-ს შუამდგომლობის საფუძველზე გამოკითხა მოწმეები: ადვოკატი გ. თ-ე /სიითი N1---/ და ადვოკატი რ. ჭ–ი /სიითი N2255/.

2.3 ეთიკის კომისიის მეოთხე დისციპლინური კოლეგიის 2024 წლის 12 მარტის გადაწყვეტილებით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 36-ე მუხლის საფუძველზე, საქმე განსახილველად გადაეცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

3. ადვოკატმა ბ. ს-ა ეთიკის კომისიას წარუდგინა წერილობით განმარტება, სადაც მიუთითა, რომ საჩივრის ავტორი განცხადებაში უთითებდა არასწორ ფაქტებს. მას დაუკავშირდა მ. ბ-ა რომელმაც გამოთქვა სურვილი ადვოკატს მისთვის გაეწია კონსულტაცია და მომსახურება განქორწინების საქმესთან დაკავშირებით. ამის შემდეგ მათ შორის შედგა შეხვედრა, მ. ბ-მ ადვოკატს წარუდგინა დოკუმენტაცია - დაზარალებულად ცნობის ოქმი და მისი მეუღლის ბრალდების შესახებ NV---------- დადგენილება.

3.1 ადვოკატის განმარტებით, მ. ბ-ს განუმარტა, რომ განქორწინებისთვის მას სჭირდებოდა ან მეუღლის თანხმობა და განქორწინება მოხდებოდა იუსტიციის სახლში, ან უნდა მიემართათ სასამართლოსთვის. ამის შემდეგ მან იკითხა, მისი მეუღლე თანახმა იყო თუ არა განქორწინებაზე ან ჰყავდა თუ არა მას ადვოკატი. მ. ბ-ს ამ საკითხზე არ ჰქონდა ინფორმაცია. მან კლიენტს უთხრა, რომ რადგან თავად არ ფლობს ინფორმაციას და თავად არის სამოქალაქო სამართლის სპეციალისტი, მისი მეუღლის პასუხის გასაგებად საქმეში უნდა ჩაერთოთ ადვოკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. ამ მიზნით საქმეში ჩაერთო ადვოკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით - რ. ჭ–ი, რომელიც შევიდა ციხეში მ. ბ-ს მეუღლესთან - გ. ყ-ნ. გ. ყ-ა განაცხადა, რომ იგი თანახმა იყო განქორწინებაზე, გარკვეული პირობებით და ჰყავს ადვოკატი გ. თ-ე. აღნიშნული ინფორმაცია ადვოკატმა ბ. ს-ა კლიენტს მიაწოდა სატელეფონო საუბრისას. მ. ბ-მ განაცხადა, რომ თანახმა იყო საქმეში ჩაერთოთ სისხლის სამართლის ადვოკატი და აინტერესებდა რა პირობები ჰქონდა მის მეუღლეს. საქმის წარმოების მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ მხარეებს შორის არსებობდა ქონებრივი დავა და მ. ბ-ს აწუხებდა მეუღლის ძმა - ვ. ყ–ი. ამ ორ საკითხთან დაკავშირებით ადვოკატებმა კლიენტს შესთავაზეს, რომ მისი მეუღლისათვის ქონებაზე უარის თქმის პირობა უნდა წაეყენებინათ და მოეთხოვათ, რომ მას და თავის ძმას არანაირი ფორმით არ შეეწუხებინათ მ. ბ- ან მისი შვილი, ამ პირობის დარღვევის შემთხვევაში მ. ბ-ა მოითხოვდა მის პატიმრობას. აღნიშნული პირობების სანაცვლოდ, მ. ბ-ს ხელი უნდა მოეწერა მხოლოდ იმაზე, რომ პატიმრობაზე პრეტენზია არ გააჩნდა, თუმცა საბოლოოდ ამ საკითხზე გადაწყვეტილებას მიიღებდა მხოლოდ სასამართლო. აღნიშნული საკითხი შეთანხმდა ყველა მხარეს შორის (მ. ბ-ა, მისი მეუღლე და მეუღლის ძმა) და მხარეებს უნდა გაეფორმებინათ ნოტარიულად დამოწმებული წერილობითი შეთანხმება. 15 დეკემბერს ადვოკატი რ. ჭ–ი და მ. ბ-ა ერთად წავიდნენ სანოტარო ბიუროში

შეთანხმების გასაფორმებლად, სადაც ნოტარიუსმა გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას და მ. ბ-ს პირდაპირ ურჩია, რომ გარიგებისათვის ხელი არ მოეწერა, რათა ხელმოწერით გ. ყ–ს მიმართ განხორციელდებოდა სამართლებრივი შეღავათი, რის შემდეგაც, მ. ბ-მ უარი განაცხადა დოკუმენტის ხელმოწერაზე. მ. ბ-სათვის დოკუმენტის ხელმოწერა არავის დაუძალებია და ადვოკატებმა იმოქმედეს კლიენტის ნების შესაბამისად.

3.2 ბ. ს-–ის განმარტებით, მან, როგორც ადვოკატმა, ამ საქმეზე დახარჯა დიდი დრო და რესურსი; კლიენტისგან მიღებული ავანსი გაუნაწილა სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატს; მისი ჩართულობით, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გაკეთდა რწმუნებულება, ხელი მოეწერა შეთანხმებას. ჰქონდა მუდმივი კომუნიკაცია მ. ბ-სთან, გ. თ-ესთან და ვ. ყ-ნ - რათა მას შეეწყვიტა მ. ბ-სთან კომუნიკაცია. საქმეზე საბოლოო შედეგი - განქორწინება არ დადგა კლიენტის სურვილით - მ. ბ-ა იუსტიციის სახლში არ მივიდა ხელმოსაწერად და მას არც მინდობილობა გადასცა.

4. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ბ. ს-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა - ჩადენილი დისციპლინური გადაცდომისათვის მას განესაზღვრა დისციპლინური სახდელი გაფრთხილება.

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი შემდეგი უდავო ფაქტი;

მ. ბ-მ ადვოკატ ბ. ს–ს სამოქალაქო საქმეზე (განქორწინება) სამართლებრივი დახმარების მისაღებად მიმართა 2022 წელს და ადვოკატს 15.12.2022 წელს სანოტარო წესით გაუფორმა N221707747 მინდობილობა.

4.2 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი სადავო ფაქტები:

ადვოკატმა ბ. ს-ა არ განუმარტა კლიენტს სტრატეგია; ადვოკატმა არ მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია რა შედეგების მომტანი შეიძლებოდა ყოფილიყო კლიენტის ინტერესებისათვის მათ მიერ არჩეული სამოქმედო სტრატეგია და საქმეში მეორე ადვოკატის ჩართვა; ადვოკატმა არ განუმარტა კლიენტს მის მიერ შედგენილი შეთანხმების პირობები, რომელიც ითვალისწინებდა, რომ კლიენტი თანახმა იყო ბრალდებულის მიმართ გამოეყენებინათ არასაპატიმრო სასჯელი.

4.3 ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა ბ. ს-ა არ განუმარტა კლიენტს სტრატეგია და მეორე ადვოკატის როლი და ფუნქციები; ადვოკატმა არ მიაწოდა კლიენტს სრული და ზუსტი ინფორმაცია რა შედეგების მომტანი შეიძლებოდა ყოფილიყო კლიენტის ინტერესებისათვის მათ მიერ არჩეული სამოქმედო სტრატეგია; ადვოკატმა, შეიმუშავა კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო შეთანხმების პირობები, რომელიც ითვალისწინებდა, რომ კლიენტი თანახმა იყო ბრალდებულის

მიმართ გამოეყენებინათ არასაპატიმრო სასჯელი.

4.4 ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ბ. ს–ს მიერ დარღვეული იყო ნდობის, კლიენტის კეთილსინდისიერი და კვალიფიციური წარმომადგენლობის, კლიენტის მითითებებით მოქმედების, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის, ინტერესთა კონფლიქტის საფრთხის თავიდან აცილების, კონფიდენციალობისა და კლიენტის ინფორმირების ეთიკური სტანდარტები („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლები: 5(ა), 6.2, 8.2, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლები: მე-3, 4.1, 6.1, 8.2, 8.5, და 8.6).

„ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5 (ა) მუხლი).

„ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია ... რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან“ (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი).

„კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი).

„ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი).

„ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის..... მითითებით“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.2 მუხლი).

„ადვოკატმა კლიენტს, მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის... შესახებ“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი).

4.5 გადაწყვეტილებას თან ერთვის ეთიკის კომისიის წევრების: კონსტანტინე გელაშვილის, ეკატერინე მაჭარაშვილის, ანა კოტეტიშვილის, ბესარიონ ბოხაშვილის, ოთარ კაჭკაჭიშვილის, ანა ხურციძისა და ინგა ბერიძის თანმხვედრი აზრი, რომლის თანახმად ადვოკატისათვის საადვოკატო საქმიანობის უფლების 6 თვის ვადით ჩამორთმევა წარმოადგენს იმ დარღვევების პროპორციულ სახდელ, რაც ადვოკატ ბ. ს–ის პროფესიული ქცევის შესწავლის შემდეგ დადგინდა ეთიკის კომისიის მიერ.

ადვოკატის საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:

5. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 7 ივნისის №006/23 გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილ ვადაში გაასაჩივრა ადვოკატმა ბ. ს-ა, რომელმაც გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მისი სრული გამართლება მოითხოვა.

5.1 საჩივრის ავტორის განმარტებით, ეთიკის კომისიამ არასწორად შეაფასა გარემოებები, არასწორად გადაანაწილა მტკიცების ტვირთი და ასევე უსაფუძვლოდ დააკისრა სახდელი.

5.2 ადვოკატის განმარტებით, ეთიკის კომისიამ სადავო გარემოებად მიუთითა მის მიერ კლიენტისათვის სტრატეგიის განმარტების არ მიცემა და სათანადო ინფორმაციის არ მიწოდება რაც უსაფუძვლოა, ვინაიდან, კომისიამ თავად მიუთითა და აღიარა გადაწყვეტილებაში (გვ 6. 5.2.1), რომ მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყებისასა, კლიენტს მან განუმარტა სტრატეგიის მნიშვნელობა და მიაწოდა ინფორმაცია, რომ განქორწინება შეიძლება მომხდარიყო მხარეთა შეთანხმებით ან სასამართლოს გზით და იქვე აღნიშნა, რომ კლიენტი ინფორმირებული იყო იმის შესახებ, რომ მას ჰქონდა სამოქალაქო სპეციალიზაცია და საქმის წარმოებისასა სჭირო გახდებოდა სისხლის სპეციალიზაციით ადვოკატის ჩართვა, აღნიშნულზე მითითებით კომისიამ თავად დაადასტურა, ის გარემოება, რომ მან კლიენტს ჯერ კიდევ ურთიერთობის დაწყებამდე განუმარტა პრობლემის გადაჭრის გზა და ფორმა, ხოლო კლიენტმა თავად გადაწყვიტა თუ რომელი გზით უნდა ეწარმოებინათ საქმე.

5.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ასევე უსაფუძვლოა ბრალდება, იმის შესახებ რომ მ. ბ-მ არ იცოდა რ. ჭ–ის როლი აღნიშნულ საქმეში, ვინაიდან მის მიერ განმარტებული, იყო სისხლის სამართლის სპეციალიზაციით ადვოკატის ჩართულობის აუცილებლობა და მ. ბ-ა თავად გაჰყვა სანოტარო ბიუროში ხელშეკრულების გასაფორმებლად.

5.4 ადვოკატის განმარტებით, მ. ბ-მ უჩივლა რ. ჭ–ს იმ საფუძვლით, რომ მან არ იცოდა აღნიშნული საქმეში მისი როლის შესახებ, ადვოკატთა ეთიკის კომისიის 2024 წლის 03 ივნისის გადაწყვეტილებით, რ. ჭ–ი ყველა საკითხში გამართლდა, შესაბამისად კომისიამ თავისი გადაწყვეტილებით დაადასტურა, რომ მ. ბ-ა ინფორმირებული იყო ყველა საკითხზე, მათ შორის იმის შესახებაც, რომ რ. ჭ–ს ციხეში მოლაპარაკება უნდა ეწარმოებინა მის მეუღლესთან განქორწინების საკითხზე. ამ შემთხვევაში კომისიამ მტკიცების ტვირთი დააკისრა მ. ბ-ს, რაც მასთან მიმართებით საპირისპიროდ განსაზღვრა.

5.5 საჩივრის ავტორის მოსაზრებით, 7.9 პუნქტიდან 7.11 პუნქტის ჩათვლით ეთიკის კომისია მსჯელობს მისი მხრიდან კომფიდენციალობასა და ინტერესთა კონფლიქტზე თუმცა არ არის მითითება მის მიერ რაში გამოიხატა ზემოაღნიშნული ნორმათა დარღვევა, ვინაიდან კომფიდენციალობა მის მიერ არ დარღვეულა, რადგან თავად გადაწყვეტილებით არის დადასტურებული, რომ მეორე ადვოკატი მ. ბ-ს თანხმობის შემდეგ ჩაერთო საქმეში, ასევე არ არსებობდა ინტერესთა კონფლიქტი რადგან იგი არ იცავდა პატიმარს, შეთანხმების წარმოება კი ინტერესთა კონფლიქტს არ ნიშნავს ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა უპირატესობასაც კი ანიჭებს მორიგების მცდელობას.

5.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ეთიკის კომისიის მითითება იმის შესახებ, რომ მან გამოწერა ორდერი რაც ინტერესთა კონფლიქტად აღიქმება უსაფუძვლოა, ვინაიდან იგივე საკითხში რ. ჭ-ი ეთიკის კომისიამ გაამართლა აღნიშნული გადაწყვეტილებით ცალსახად დასტურდება, რომ მ. ბ-ა მასთან განიხილავდა მორიგების თაობაზე შედგენილ დოკუმენტებს.

5.7 ადვოკატის განმარტებით. მისსა და რ. ჭ–ის საქმეების განხილვისასა, რომელიც ერთი და იგივე საქმიდან გამომდინარეობდა, ეთიკის კომისიას არათანაბარი და განსხვავებული მიდგომა ჰქონდა კომისიის მხრიდან სრულყოფილად და ობიექტურად არ იქნა ყველა გარემოება გამოკვლეული, ასევე არასწორი შეფასება მიეცა გარემოებებს და არასწორად იქნა გამოყენებული სამართლებრივი საფუძვლები.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის პოზიცია:

6. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენელმა გაიზიარა №006/23 დისციპლინურ საქმეზე ეთიკის კომისიის 2024 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება, როგორც სამართლებრივი დასაბუთების, ასევე - გამოყენებული სახდელის ნაწილში და ადვოკატის საჩივრის უარყოფა მოითხოვა.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ:

7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის არსებითად განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ ადვოკატ ბ. ს–ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სსიპ

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 7 ივნისის №006/23 გადაწყვეტილება, შემდეგ გარემოებათა გამო:

8. სადისციპლინო პალატა უპირველესად განმარტავს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[59] მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სადისციპლინო პალატა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის თვალსაზრისით. შესაბამისად, სადისციპლინო პალატა საჩივრის ავტორს მის მიერ განხორციელებული შედავების გათვალისწინებით, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის რელევანტურობას განუმარტავს.

9. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის ძირითადი პრეტენზია იმ გარემოებას შეეხება, რომ ეთიკის კომისიამ დაადგინა მის მიერ კლიენტისათვის სტრატეგიის განმარტებისა და სათანადო ინფორმაციის არ მიწოდება რაც უსაფუძვლოა, ვინაიდან, კომისიამ თავად მიუთითა და აღიარა გადაწყვეტილებაში (გვ 6. 5.2.1), რომ მხარეთა შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყებისასა, კლიენტს მან განუმარტა სტრატეგიის მნიშვნელობა და მიაწოდა ინფორმაცია, რომ განქორწინება შეიძლება მომხდარიყო მხარეთა შეთანხმებით ან სასამართლოს გზით და იქვე აღნიშნა, რომ კლიენტი ინფორმირებული იყო იმის შესახებ, რომ მას ჰქონდა სამოქალაქო სპეციალიზაცია და საქმის წარმოებისასა საჭირო გახდებოდა სისხლის სპეციალიზაციით ადვოკატის ჩართვა, აღნიშნულზე მითითებით კომისიამ თავად დაადასტურა, ის გარემოება, რომ მან კლიენტს ჯერ კიდევ ურთიერთობის დაწყებამდე განუმარტა პრობლემის გადაჭრის გზა და ფორმა, ხოლო კლიენტმა თავად გადაწყვიტა თუ რომელი გზით უნდა ეწარმოებინათ საქმე შესაბამისად ეთიკის კომისიამ არასწორად შეაფასა გარემოებები, არასწორად გადაანაწილია მტკიცების ტვირთი და ასევე უსაფუძვლოდ დააკისრა სახდელი.

10. **შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, სადისციპლინო პალატის მსჯელობის საგანს წარმოადგენს ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატის მიმართ შეფარდებული სახდელის - გაფრთხილების მართლზომიერება. ამ მხრივ კი, შეფასების საგანს წარმოადგენს ჰქონდა თუ არა ადგილი სადავო შემთხვევაში, ადვოკატის მიერ კლიენტის ინფორმირებისა და პროფესიული ფუნქციების კეთილსინდისიერად შესრულების, კლიენტის მითითებით მოქმედებისა და კონფიდენციალობის ვალდებულების დარღვევას.**

11. აღსანიშნავია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია სადავო საკითხის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა სისწორის შესახებ ადვოკატ ბ. ს-–ის საჩივარში კვალიფიციური შედავება

განხორციელებული არ არის და, ამასთან, არც რაიმე ისეთი სახის მტკიცებულებაა წარმოდგენილი, რაც სადისციპლინო პალატას მათ სისწორეში ეჭვის შეტანის საფუძველს შეუქმნიდა. შესაბამისად, სადისციპლინო პალატა დადასტურებულად მიიჩნევს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

12. უპირველეს ყოვლისა, სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტთან შეთანხმების, მისი მითითებებისა და ინტერესების შესაბამისად და არ განახორციელოს ისეთი მოქმედება, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს როგორც კლიენტის ინტერესებს, ასევე ადვოკატის პროფესიას და როლს საზოგადოებაში.

13. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში; ამავე კანონის მე-5 მუხლის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები და ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები. რაც, პირველ რიგში, გულისხმობს ადვოკატის ვალდებულებას კლიენტის წინაშე მის მიერ ნაკისრ მოვალეობებს მოეკიდოს სათანადო გულისხმიერებით, კერძოდ, კლიენტის უფლებების დაცვისა და რეალიზებისათვის იზრუნოს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ პირობებში მყოფი მისი პროფესიის მქონე ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და იმოქმედოს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია კლიენტისათვის ***(იხ. სუსგ საქმე №ას-835-801-2016, 30 ნოემბერი, 2016 წელი).***

14. ამასთან, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-3 მუხლის თანახმად კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობასა და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა. ამავე კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა; ხოლო ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, **ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა** და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.

15. სადისციპლინო პალატამ, საქმეზე #სპ-09-17 განმარტა, რომ ადვოკატი უნდა იყოს

კლიენტის მრჩეველი და წარმომადგენელი, ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიცემული რჩევა და განხორციელებული წარმომადგენლობა შესაბამისობაში უნდა იყოს კლიენტის ინტერესებთან და მიზნად უნდა ისახავდეს კლიენტის ინტერესების დაცვას, კლიენტის ინტერესებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ადვოკატმა უნდა მიიღოს კლიენტთან შეთანხმებით და არა ერთპიროვნულად, ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით გაკეთებული განცხადებები მესამე პირების მიერ განიხილება როგორც კლიენტის ნების გამოვლენა და როგორც წესი, ეჭვქვეშ არ დგება ადვოკატის საიმედოობა და კეთილსინდისიერება.

16. განსახილველ შემთხვევაში, სადისციპლინო პალატა იზიარებს განხილვის კოლეგიის მსჯელობას იმის შესახებ, რომ ადვოკატმა ბ. ს-ა არ განუმარტა კლიენტს სტრატეგია და მეორე ადვოკატის როლი და ფუნქციები; ადვოკატმა არ მიაწოდა კლიენტს სრული და ზუსტი ინფორმაცია თუ რა შედეგების მომტანი შეიძლებოდა ყოფილიყო კლიენტის ინტერესებისათვის მათ მიერ არჩეული სამოქმედო სტრატეგია; ადვოკატმა, შეიმუშავა კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო შეთანხმების პირობები, რომელიც ითვალისწინებდა, რომ კლიენტი თანახმა იყო ბრალდებულის მიმართ გამოეყენებინათ არასაპატიმრო სასჯელი. სადისციპლინო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მხარეთა ახნა-განმრტებასა და საქმეში დაცულ მტკიცებულებებზე რომლითაც დასტურდება ის გარემოება, რომ (ტ. I ს.ფ 6-16) ნოტარიუსთან ვიზიტამდე მ. ბ-სთვის სრულად და ნათლად განმარტებუილი არ იყო შეთანხმების პირობები და შედეგები ასევე მისთვის უცნობი იყო შეთანხმების შინაარსი და აღნიშნულ დოკუმენტს მ. ბ-ამ ხელი ნოტარიუსისგან მიღებული განმარტების შემდეგ აღარ მოაწერა.

17. სადისციპლინო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის შედავებას იმის თაობაზე, რომ მხარეთა შორის არასწორად იყო გადანაწილებული მტკიცების ტვირთი და განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მხარეთ მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა

ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან. საქართველოს სამოქალაქო სამართალსა და საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტის თანახმად, მტკიცების ტვირთი განაწილებული უნდა იქნეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს უნდა დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რომელთა მტკიცება მათთვის უფრო მარტივი და ობიექტურად შესაძლებელია. ამტკიცებს ის, ვინც ამტკიცებს და არა ის, ვინც უარყოფს.

18. ადვოკატი ბ. ს–ი როგორც ეთიკის კომისიაში, ასევე სადისციპლინო პალატაში საქმის განხილვისას მიუთითებდა, რომ მან კლიენტს სრულად მიაწოდა ინფორმაცია განქორწინების საქმის წარმოების სამართლებრივ გზებისა და სტრატეგიის შესახებ და მისი ყოველი მოქმედება შეთანხმებული იყო მ. ბ--სთან, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე სარწმუნო მტკიცებულება ადვოკატს არ წარმოუდგენია. მეტიც საქმის მასალებით დგინდება, რომ მ. ბ-მ არ იცოდა შეთანხმების დოკუმენტის შინაარსი და იგი მხოლოდ მას შემდეგ გაიგო, რაც ნოტარიუსთან ვიზიტისასა ნოტარიუსმა განუმარტა თუ რა სამართლებრივი შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა აღნიშნულ შეთანხმებას. სადისციპლინო პალტა აღნიშნავს, რომ კლიენტისათვის საქმეზე სრული და სწორი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს, რომელიც ამტკიცებს, რომ კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია და არა კლიენტს, რომელიც უარყოფს ადვოკატისაგან ინფორმაციის მიღების ფაქტს.

19. სადისციპლინო პალატა ასევე იზიარებს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში მითითებულ მსჯელობას, რომ ადვოკატ ბ. ს-ს მიერ დარღვეულია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდებისა და კონფიდენციალობის დაცვის ეთიკური სტანდარტები: ვინაიდან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-8 მუხლი 1 პუნქტის თანახმად „ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას. ასევე ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის 1 პუნქტის თანახმად ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან

დაკავშირებით. ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა თუ ადვოკატის მიერ განსახორციელებელ წარმომადგენლობაზე არსებით და უარყოფით გავლენას ახდენს ადვოკატის პირადი ინტერესი ან ვალდებულება კლიენტის, ყოფილი კლიენტის ან მესამე პირის მიმართ. ადვოკატმა ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევებს თავი უნდა აარიდოს და კლიენტი ისე წარმოადგინოს, როგორც კლიენტი იმოქმედებდა საკუთარი ინტერესებისთვის შესაბამისი ცოდნის, უნარისა და დროის არსებობის შემთხვევაში ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა კონფიდენციალურია. კლიენტი ენდობა ადვოკატს და მას, როგორც სპეციალური ცოდნის მქონე პირს, უზიარებს განსაკუთრებული მნიშვნელობის ინფორმაციას. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კლიენტისაგან მიღებული ინფორმაცია და არ გაამჟღავნოს იგი.

20. პალატა კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ადვოკატის ვალდებულებაა კლიენტს განუმარტოს მის საქმისწარმოებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი დეტალი და თითოეული საპროცესო მოქმედების მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგი, რომლის მტკიცების ტვირთიც ადვოკატმა ბ. ს-–მა ვერ დაძლია მოცემულ სადავო საკითხთან დაკავშირებით.

21. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა დადგენილად მიიჩნევს, რომ ადვოკატ ბ. ს–ის მიერ დარღვეულია **„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ პუნქტი** *(ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები)*, **მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი** *(ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან)*; და **მე-8 მუხლის მე-2, და 5 პუნქტი** *(ადვოკატმა საქმე უნად აწარმოოს კლიენტის მითითებით. ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.)* ასევე, **„ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-4 მუხლი 1 პუნქტი** *(ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს.)*, **მე-6 მუხლის 1 ნაწილი** *(ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე),* და **მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის** *(ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ)* მოთხოვნები.

22. სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ ზოგადად, დოქტრინის მიხედვით, ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დადების მიზანია საზოგადოების დაცვა, სამართლებრივი სისტემის მთლიანობის დაცვა, მართლმსაჯულების სამართლიანად უზრუნველყოფა და სხვა ადვოკატების მსგავსი გადაცდომისგან შეკავება *(მაგ., Gillette v. Edison, 593 F. Supp. 2d 1063, 1066 (D.N.D. 2009)).*

23. ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ შემთხვევებში და დადგენილი წესით. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კანონის მე-5-მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის, ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის. ამავე კანონის 34-ე მუხლი ითვალისწინებს ადვოკატის მიმართ დისციპლინური სახდელის სახეებს, რომელთა შორის არის გაფრთხილება.

24. პალატას მიაჩნია, რომ დისციპლინური საქმის მასალები გამოკვლეულია ობიექტურად და დავა გადაწყვეტილია არსებითად სწორად. ბ. ს–ის მიერ დარღვეულია "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონისა და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნები. შესაბამისად, ადვოკატის ქმედებას მართებულად მიეცა დისციპლინური გადაცდომის კვალიფიკაცია. სადისციპლინო პალატა ასევე იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაციას ადვოკატისათვის დაკისრებული სახდელის - გაფრთხილებასთან დაკავშირებით და თვლის, რომ სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ დისციპლინური სახდელის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა დისციპლინური გადაცდომების შინაარსი, სიმძიმე და დაკისრებული სახდელი ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის შესაბამისია.

25. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს ადვოკატ ბ. ს–ის საჩივრის დაკმაყოფილებისა და სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[61] მუხლით, 75[62]

მუხლით, 75[63] მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 75[64] მუხლით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ადვოკატ ბ. ს–ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2024 წლის 7 ივნისის №006/23 გადაწყვეტილება;

3. გადაწყვეტილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს;

4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე **მირანდა ერემაძე**

მოსამართლეები: **თეა ძიმისტარაშვილი**

გოჩა აბუსერიძე